რა სამართლებრივი საფუძვლებით ახორციელებს სააგენტო ეკონომიკური აგენტის ადგილზე შემოწმებას

მოსამართლის და სააგენტოს ბრძანება

სააგენტო უფლებამოსილია, ჩაატაროს ეკონომიკური აგენტის ადგილზე შემოწმება წინასწარი გაფრთხილების გარეშე. ადგილზე შემოწმების შესახებ მოსამართლის ბრძანების გამოცემის შემდეგ, სააგენტო გამოსცემს ბრძანებას, სადაც აღნიშნული უნდა იყოს ადგილზე შემოწმების პროცესში მონაწილე პირებისა და მოწვეული ექსპერტების ვინაობა.

ვისი შემოწმების უფლება აქვს სააგენტოს

მხარე/საქმესთან დაკავშირებული ეკონომიკური აგენტი

სააგენტო უფლებამოსილია, შეამოწმოს არა მხოლოდ ის ეკონომიკური აგენტი, რომლის მიმართაც მიმდინარეობს საქმის მოკვლევა, არამედ სხვა ისეთი ეკონომიკური აგენტიც, რომელთანაც ინახება საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტები.

რა შეიძლება იყოს შემოწმების მაქსიმალური ვადა

ხანგრძლივობა

მოსამართლის ბრძანების მოქმედების ვადაა არაუმეტეს 1 კვირისა. თუმცა, სააგენტო უფლებამოსილია, სასამართლოს მიმართოს ადგილზე შემოწმების ვადის არაუმეტეს 1 თვით გახანგრძლივების თაობაზე.

რა ხდება შემოწმების დაწყების დროს

ინფორმირების ვალდებულება

სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, ეკონომიკურ აგენტს გადასცეს მოსამართლის და სააგენტოს ბრძანებები, გააცნოს შემოწმების პროცესში მონაწილე პირთა უფლება-მოვალეობები, პროცედურული საკითხები და შედეგები, რომელიც მოჰყვება სააგენტოს კანონიერი მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობას.

უნდა ითანამშრომლოთ თუ არა სააგენტოსთან ადგილზე შემოწმების დროს

თანამშრომლობის ვალდებულება

ეკონომიკური აგენტი ვალდებულია, ადგილზე შემოწმების დროს ითანამშრომლოს სააგენტოს უფლებამოსილ პირებთან, არ შეუშალოს ხელი ადგილზე შემოწმების პროცესს, გაუწიოს დახმარება და მისცეს ახსნა-განმარტებები, არ განახორციელოს იმ ნივთებთან (კომპიუტერული მოწყობილობები, დოკუმენტები, ჩანაწერები) შეხება, რომელთან დაკავშირებითაც მიიღებს მითითებას სააგენტოს წარმომადგენლისგან.

ვალდებულია თუ არა სააგენტო, დაელოდოს იურისტის მოსვლას ადგილზე შემოწმების დაწყებამდე

იურისტი/ წარმომადგენელი

ეკონომიკურ აგენტს უფლება აქვს შემოწმებისას მოიწვიოს იურისტი ან/და სხვა წარმომადგენელი. ასეთი პირ(ებ)ის მონაწილეობა არ წარმოადგენს ადგილზე შემოწმების პროცესის კანონიერების პირობას. ამასთან, დაუშვებელია, იურისტის მონაწილეობის საბაბით, ადგილზე შემოწმების პროცესის შეფერხება.

შეუძლია თუ არა სააგენტოს დალუქოს შესამოწმებელი ფართი ადგილზე შემოწმების პერიოდში

დალუქვა

სააგენტოს უფლება აქვს დალუქოს შესამოწმებელი ფართი სრულად ან ნაწილობრივ, ასევე ინდივიდუალური ნივთები (მათ შორის, პირის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტები, კომპიუტერული ტექნიკა და ა.შ.) ადგილზე შემოწმებისას, თუმცა არაუმეტეს 72 საათისა. ეკონომიკური აგენტი ვალდებულია უზრუნველყოს ლუქის მთლიანობა, იმ დრომდე, ვიდრე თავად სააგენტოს უფლებამოსილი პირები არ ახსნიან მას.

რა დოკუმენტაციის გაცნობის უფლება აქვს სააგენტოს ადგილზე შემოწმებისას

ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია

სააგენტო უფლებამოსილია, გაეცნოს როგორც მატერიალურ, ასევე ელექტრონულ დოკუმენტაციას (მაგ. ინფორმაცია კომპიუტერებზე, DVD დისკზე, USB დრაივზე, სერვერებზე, ე.წ „CLOUD"-ზე, თანამშრომლის პერსონალურ ტექნიკასა და საშუალებებზე, რომლებიც სამსახურებრივი მიზნით გამოიყენება) და გააკეთოს ასლები. აღნიშნული უფლებამოსილება ეხება პირის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტს, კონფიდენციალურობისა და შენახვის წესების მიუხედავად.

როგორ ამთავრებს სააგენტო ადგილზე შემოწმებას

ადგილზე შემოწმების ოქმი

ადგილზე შემოწმების დასრულებისას, მოპოვებული ინფორმაციის გადატანა ხდება ინფორმაციის მატარებელზე (მაგალითად, DVD). მზადდება სამი იდენტური ასლი, საიდანაც ერთი გადაეცემა ეკონომიკურ აგენტს, ხოლო ორი რჩება სააგენტოს. ასევე, შემოწმების დასრულებისას, ორ ეგზემპლარად მზადდება შემოწმების ოქმი და მისი ერთი ეგზემპლარი გადაეცემა ეკონომიკურ აგენტს.

ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union
TWINNING

საინფორმაციო ბროშურა

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტის ადგილზე შემოწმების შესახებ

VVTAT
CPVA
საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო
COMPETITION COUNCIL OF THE REPUBLIC OF LITHUANIA
Federal Competition Authority